



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1175  
14/06/2018

ქალაქი ბათუმი

1175-05-4-201806141651



**„სტიქიური რისკების ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის განხორციელების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 10 იანვრის №98 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და მეორადი სტრუქტურული ერთეულის საპროექტო განყოფილების უფროსის ხვიჩა ბერიძის 2018 წლის 11 ივნისის №1644 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ**:

1. „სტიქიური რისკების ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის განხორციელების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 10 იანვრის №98 ბრძანებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზვიად ხალვაში - მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ვახტანგ დიასამიძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ბ) ანა ბაჟაშვილი - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

გ) ნადიმ ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - კომისიის წევრი.

ბ) ბრძანების მეორე პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

2. კომისიის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ( განცხადების რეგისტრაცია და ა.შ) შეიქმნას კომისიის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

ა) ხვიჩა ბერიძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, საპროექტო განყოფილების უფროსი - სამდივნოს ხელმძღვანელი;

ბ) ნონა ქოქოლაძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი - სამდივნოს წევრი.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ პირებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა

